№ 727 კვირა, 17 იანვარი. 1896—1899 კვირა, 17 იანვარი № 727

სადგამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურთ ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-თად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რე-დაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-ტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
გაზეთ „ცნობის ფურცელზე"
ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

მორთული ოთახები
## საქსონია

რომელიც წინად დვორცოვი ქუჩაზე იყო ამ ჟამად გადავიდა ნა-ლდოზის მოედანზე ეფიენჯიანცის სახლებში.

ნომრები საუცხოვოდ ავეჯეულობით არის მორთული, ოთახები მა-ღლი, ნათელი და შნოიანია.

ფასი თვიურად 12 მანეთიდან სამოვრით და მსახურით და დღიუ-რად 50 კაპიკიდგან.

**меблированные номера**

**САКСОНІЯ**

На Николаевской площади, д. Эфіаджіанца дешевизна, чистата и удобство.

პატივისცემით გულგა.
(4—3)

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი], საშარდეს-ნის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით —12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

უფასოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე-ლისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

...ნოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—2)

...ვირას, 17 იანვარს, დანიშნულია ...ზოგადო კრება ხელოსანთა ამ-ხანაგობის

## ...როშისა

...კრება გაიხსნება დილის 10 საათზე ...ხანაგობის ქარხანაში, ხიდზედ, მუხ-...ტონის სახლებში.

საგანი კრებისა:

1. მოხსენება ექვსის თვის ანგარი-შისა.
2. არჩევა ფირმის წარმომადგენე-ლის მომავალის წლისთვის.
3. სარჩილი მაზედ, თუ რა საშუ-ალებით შეიძლება ამხანაგობის თანხის ...ერება და ქარხანის უკეთ მოწყობა.
4. არჩევა გამგეობის სამის წევრი-...და სამის კანდიდატისა. არჩევა ზე-...მხედველ-კომიტეტის სამის წევრისა ...სამის კანდიდატისა.

...სარჩევანო კენჭი მიეცემა მხოლოდ ...წევრთ, რომელნიც 17 იანვრამდის საწევრო ფულს 13 მანათად შეასრუ-ლებენ.
(4—4).

## ვკისრულობ

ხე-ტყის განიხვრას, ვადაზე ვას-რულებ სარჩარო საქმეს, რაც შე-იძლება, მალე ვშოულობ სესხს როგორც სასოფლო მეურნეობი-სათვის, ისე ხე-ტყით სარგებლო-ბისათვის.

ადრესი: ტფილისი, ალექსი გრი-გორის ძე სნეჟნიკოვი, ლაბორა-ტორის ქუჩა სახლი № 26, ტე-ლეფონი 567.

გოლოვინის პროსპექტზე ქაშვეთის ეკკლესიის მამულში იძლევა ქირით მოხერხებული

## სარდაფი

ღვინისა თუ სხვა რამ საქონლის საწყობად. (12—6).

## ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დი-ლის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**
Михайлов., № 16.

## კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოღაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32
(30—29)

გამოვიდა გასასყიდად

ცხოვრება

ღირსისა და მოციქულთა სწორისა წმ. ნინო ქართველთ განმანათლებლისა

გამოცემა მორჩილის რაჟდენ ბა-რამამისა.

სურათით, წიგნი შეიცავს 40 გვერდს და ღირს **ერთი შაური.** (10—2)

გამოვიდა და დაიბეჭდა ახალი ქართული წიგნი ცხოვრება ღირსის დედისა

## თეოდორესი

ალექსანდრიელისა

მეორე გამოცემა, მორჩილის რაჟ-დენ ბარამამას მიერ.

წიგნს მშვენიერი სურათი აქვს დართული და შეიცავს 24 გვერდს. ფასი ერთი შაური (10—1)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-გო, თვალისა და დედათა ავადმყო-ფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-თამდე. შინაგან და ნერვების ავად-მყოფობას სწამლობს **ს. ბ. თო-ფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ძ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-ბის და აკუშერობის D-r **ф. ბა-ცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ძ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თო-ფურია.**

*Лъчебница В. С. Топуріа* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** ბალი წმ. ნინოს სასწავლებე-ლში. ხუთშაბათს, 14 იანვარს, წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში მოწაფე ქალთათვის ბალი გამარ-თეს. ბალზე მოწვეულნი იყვნენ სამი ადგილობრივი სავაჟო გიმნა-ზიებისა, რეალურ სასწავლებლისა და კადეტის კორპუსის უფროს კლასთა მოწაფენი მათი მასწავლე-ბლებითურთ. მხიარულმა ცეკვა-თამაშმა გასტანა ღამის პირველ საათამდე. მოწაფე ქალთ და მოწ-ვეულ პირთ გაუმასპინძლდნენ გა-საგრილებელ სასმელებით, ტკბი-ლეულობით და სხ: ბალს დაესწ-რნენ კავკასიის მთავარ-მართებე-ლი თავ. გ. ს. გოლიცინი თვისი მეუღლით, წმ. ნინოს საქველ-მო-ქმედო საზოგადოების თავმჯდო-მარით, იმავე საზოგადოების უმც-როსი თავმჯდომარე უმაღლესი სასახლის ეგერმეისტერის მეუღლე კნ. მ. ა. შარვაშიძისა და სხ...

*** **მ. მეფისაშვილის საქმე.** საქმე ახალციხის მემამულის მიხეილ მეფისაშვილისა, მოლა-ალი-მოლა-მუსა-ოღლისა და სხვ., რომელთაც ბრალდებათ ივანე მეფისაშვილის მოკვლა, სასამართლოს წევრის მოსკალოვის განსაჩივრებით, წარდგენილ იქმნა ტფილისის სამოსამართლო პალატაში 15 იანვარს.

*** **საინტერესო სურათი.** ერთს აქაურს მხატვარს პ. ბოგატირევს ამ რამდენიმე წლის წინედ გადაუღია სურათი იმ სახლიდან, სადაც რუსეთის გამოჩენილი პოეტი პუშკინი ცხოვრობდა 1829 წ. ტფილისში. ის სახლი ეხლა დანგრეულია და მის მაგიერად ახალი შენობაა აგებული.

*** **ახალი დანიშნულება.** ბორჯომის ნაწილის ბოქაულად ნამყოფი კაპ. მახვილაძე დანიშნულ იქმნა ტყიბულის ბოქაულად.

საოლქო შტაბის უფროსი გენ-მაიორი შუტლევორტი დანიშნულ იქმნა დივიზიის უფროსად..

*** **სამსახურის თავის დანებება.** როგორც ისმის, ბათომის ოლქის უფროსის თანაშემწე კოლ. სოვ. თავ. ლორთქიფანიძე სამსახურს თავს ანებებსო, ხოლო მის ადგილას ინიშნება ქობულეთის ნაწილის უფროსის თანამდებობის ასრულებელი შტაბს-კაპიტანი რეზანოვიო.

*** **სიკვდილით დასჯა.** სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა ყაჩაღების ბრბოს საქმე და შემდეგი განჩინება დაადგინა: მამედი და კამბარი ჩამოხრჩობილ იქმნენ, აბაზი და ზეინალი გამართლდნენ, ხოლო დანარჩენები გაგზავნილ კატორგაში 15 წლის ვადით.

*** **უცნაური მკვლელობა.** 12 იანვარს, საღამოთი ქუთაისში, ეგრედ წოდებულს „არქიელის სერზე,“ შემდეგი მკვლელობა მოხდა: ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლის მოწაფემ 14 წლის პეტრე ავალიანმა, თოფით მოკლა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფე კონსტანტინე ავალიანი. ამბობენ, თოფი უცაბედათ გაუვარდაო. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ „არქიელის სერზე“ ხშირად იკრიბებიან და ისვრიან თოფებს ყმაწვილები და დამშლელი კი არავინა ჰყავთ („ნოვოე ობოზ.“).

*** **საუბარი წმინდა ნინოზე.** დღეს, 17 იანვარს, ქვაშვეთის ეკკლესიაში, მწუხრის შემდეგ მღ. ტყემალაძე წაიკითხავს ქადაგებას წმინდა ნინოს შესახებ.

*** **ექიმების უსულგულობის მსხვერპლი.** ამ დღეებში შემდეგი გულის ამღვრევი ამბავი მოხდა ქ. ქუთაისში. ექიმისა და ბებია ქალის ზედამხედველობით მოილოგინა ლეჩხუმის მეაფთიაქის დავით ჯულელის ცოლმა. მეორე დღეს მოილოგინა იმ ექიმის ცოლმაც, რომელიც მეაფთიაქის ცოლს ადგა თავს. ამის გამო ექიმმა და ბებია-ქალმა თავი დაანებეს ჯულელის ავადმყოფს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალს მშობიარობის ანთება უჩნდებოდა რამდენს ეხვეწა ავადმყოფის ქმარი ბებია ქალს, ხან-და ხან მაინც ინახულე ჩემი ცოლიო, ყველა მისმა მუდარამ ფუჭად ჩაიარა. უკეთესად არ მოქცეულა მეორე ბებია ქალი, რომელმაც უარი თქვა ჯულელის ცოლის ნახვაზე იმის გამო, რომ პირველ ბებია ქალს უფლება არ ქონდა დაეტოვებია ავადმყოფი, რაკი მას მშობიარობის ანთება გაუჩნდაო. ასეთივე პასუხი მიიღო ჯულელმა მეორე ექიმისაგან, რომელმაც თავისი უარის დასასაბუთებლად ის მოიმიზეზა, რომ პირველად ავადმყოფს სხვა ექიმი ადგა თავსაო. სანამ ბებია ქალები და ექიმები ედავებოდნენ ჯულელს იმის შესახებ თუ, რომელი უნდა მიშველებოდა საშიშოდ ავადმყოფს, ამ უკანასკნელმა ორი დღის შემდეგ სული განუტევა საშინელი ტანჯვით. მისი სიკვდილით დაობლდა ექვსი მცირე წლოვანი ბავშვი.

მეტი უსულდგმულობა ადამიანთა მხრივ წარმოუდგენელია. „(ჩერნ ვესტ.“).

*** **გულ-შესაზარი მკვლელობა.** 13 იანვარს, შემდეგი გულშესაზარი შემთხვევა მოხდა ახალ-არსენალისა და კრასნოგორის ქუჩების კუთხეში. ახალ არსენალის ქუჩის დაღმართზე საშინელი სისწრაფით მიჰქროდა ეტლი ორი მთვრალი კაცით, რომლებიც, როგორც ამბობენ, მოდიოდნენ სიფილისიან ქალთა საავადმყოფოდან. კრასნოგორის ქუჩის მისახვევთან ეტლი დაეჯახა მჭედლის იოსებ ჭიათაშვილის 5 წლის ქალს თამარას, რომელიც წააქცია და გასრისა. ყველაზე უფრო აგიმღვრევდათ გულს ის, რომ მთვრალმა მეეტლემ შეაჩერა ეტლი, ჩამოხტა, გადააგდო თავის-მიერ გასრესილი ბავშვი თხრილში და შემდეგ გააქანა ეტლი. ვერც ერთმა დამსწრეთაგანმა ვერ მოიფიქრა ეტლის ნომრის დახსომება და მისი დაჭერა ხომ ფიქრადაც არავის მოსვლია. ყველანი საბრალო გასისხლიანებულ ბავშვს მივარდნენ, რომელსაც ცალი ფეხი-და ეკიდა ძარღვებზე, ხოლო საფერთქელიკი გამტვრეული ჰქონდა ცხენის ჩლიქით. დედის სასოწარკვეთილება მომაკვდავი შვილის დანახვაზე საზღვარი აღარ ჰქონდა. პატარა ქალი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაში სული განუტევა. მკვლელი მეეტლე ჯერ კიდევ ვერ აღმოუჩენიათ.

*** **„მოამბე“ № XII.** ჩვენ მივიღეთ ჟურნალ „მოამბის“ დეკემბრის ნომერი შემდეგის შინაარსით: I „წარსულიდან, სკოლაში წასვლამდის“,—მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა, II „ნატვრა“,—ლექსი შ. მღვიმელისა, III „ჯალათი“, მოთხრობა, ემილია პარდო-ბაზანისა, თარგმანი (დასასრული), IV „საათი“,—(საშობაო ფანტაზია) ივ. ზურაბიშვილისა, V „დამონებულნი“,—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, VI „პეპელა“,—ლექსი შ. მღვიმელისა, VII „დოყლაპია“,—ამბავი, ერნესტ-ფონ-ვილდენბრუხისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა, VIII „სამეგრელო-სვანეთის სამთავროთა გაუქმება“,—ბოროზდინისა, თარგმანი თ. ს—სი, IX „ბატონყმობის გადავარდნა საქართველოში“, (საისტორიო ცნობა) ალ. ყიფშიძისა, X „სიცოცხლე და მისი კანონი“,—ვ. მოსეშვილისა. ქრონიკა: XI „მლაღადებელნი ციფრები“, იაკობ გოგებაშვილისა, XII „უცხოეთი 1898 წელს“.—ლალისა, XIII „ჟურნალ „მოამბის“ 1898 წლის ნომრების შინაარსი.

პირველი წიგნი 1899 წლისა, დარიგდება 30 იანვარს.

*** **სასამართლოს სესსია სიღნაღში.** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მე—2 განყოფილების სესსია გაიხსნება ქ. სიღნაღში 8 თებერვალს სასამართლოს წევრის ი. ო. პარჩევსკის თავმჯდომარეობით და პროკურორის ამხანაგის ნ. ა. ტარსაიძის დასწრებით.

*** **დიდუბის ამხანაგობის ანგარიში.** წარსულ 1898 წელს ოქტომბრის 20 დაარსდა პატარა ამხანაგობა დიდუბეში, რომელმაც გახსნა სავაჭრო დუქანი ყოველი სანოვაგესი და ორთავე ნახევარში თავის დაკვალათ ხარჯიც კარგი ჰქონია, მაგრამ მაინც მოუგია და არ უზარალნია.

აქტივი: დახლში ნაღდი 31 მ. 67 კაპ. საქონელი 466 მ. 50 კ. გილდი 1899 წლისა 80 მ. ავეჯეულობა და მოწყობილობა 173 მ. 80 კ. ნისიათ მიცემული ამხანაგებზედ საქონელი 95 მ. 99 კ. სულ 847 მანეთი და 96 კაპეიკი.

პასსივი: საწევრო ფული ამხანაგებისაგან შემოტანილი 573 მ. ვალი: ტფილისის საზოგადოთა სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ბანკისა 190 მ. და სხვა სხვა პირებისა 39 მ. სულ 802

აქტივიდგან, რომ პასივი გამ-
ვაკლოთ ნამეტურია მოგ-
45 მან. 26 კაპ. რაც სასიამოვნ-
პატარა არის, მაგრამ ეტყ-
რომ თუ საწევრო ფული მო-
ტა, საქმეც გაიზდება და გაფარ-
დება კიდეც.

ვუსურვებთ გამგებელთა გ-
რიახობას აწინდებულათ, რომ
ტარა გადიდდეს და გული არ გ-
ტყდეს ჩვენ ქართველ საზოგად-
ბას.

*** **თიანეთის მაზრა.** ქ-
დობის მაზეზი. თვით ისტო-
გვიჩვენებს რა მტრული და დ-
ძინებელი განხეთქილებაც მეფ-
და უწინ მეზობელ მაჰმადიანთა
ქართველთა შორის; მაგალით-
როგორნიც არიან ქისტები და ლ-
კები. ეხლაც, ვინც კი ღრმად
კვირებია დამოკიდულებას ამ ო-
ერთა შორის, უეჭველად შენ-
ნავდა ნამყო დროის ბოროტ-
ნიშან-კვალს ამ ჟამადაც, რომ-
ლიც, მართალია, არაა განვი-
რებული და ფესვებ-გადგმული,
გავსად ძველის დროისა მეოხ-
თა და წყალობით უმაღლესი მ-
რობისა. ლეკებისა კი რა მოვ-
სენოთ და ის კი ნამდვილად ვ-
ჩემი საკუთარის დაკვირვებით,
დღესაც დიდი სიძულვილი მეფ-
მთის ფშავ-ხევსურთა და მათ
ზობელ ქისტთა შორის, რაგვ-
სიძულვილიც უფრო ქისტ-
მხრით მომდინარეობს. ერთი
არის, ეს უკანასკნელნი იარაღ-
რა ხმარობენ მათზე, თორემ ს-
ფრივ კი კარგ დღეს არ აყრი-
ქისტი, როგორც ბუნებით ქ-
დი, რომელსაც ძვალ-რბილში
გამჯდარი ეს ხელობა, არ
ნებს და დასაკმაყოფილებლად
ვისი ბოროტ-განძრახვისა ფ-
ხევსურეთისაკენ მოექანება;
ქანება და უხვადაც მიეზი-
ქურდულად შეძენილ სარჩოს.
ე. ი. ქისტი იპარავს: ცხენებს, რ-
ფეხ საქონელს და სხვა ნივთ-
ბევრს.

ყველა ეს კარგად უწყის ად-
ლობრივმა სამმართველომ, ზო-
საც ხმარობს ქურდების აღმო-
ვეთად, მაგრამ ყოველი ზომა
ცდა ვერა პოულობს ნიადაგს.

როგორ თუ ვერა?—იკი-
მკითხველი. ვერა იმისათვის,
გაბედვით უპასუხებ, რომ
ხევსურეთის ბოქაულს, რომე-
ეკუთვნიან ხსენებულნი ქის-
ყოველთვის სხვა და სხვა ს-
ბის ასასრულებლად ენ-
ხოლმე სამმართველოსაგან
ჩაფარი და ისინიც საუბედ-
სულ ქისტები. დიახ საუბედ-
რადგან ისინი (ქისტ-ჩაფრებ-
მხრენი არიან საზოგადოთ

...სტებისა და უფრო კი ქურდისტებისა, რომელთა ნაქურდალშიაც მათაც წილი აქვთ.

როცა კი ბოქაული გაიგებს, აქა-და-აქ მოუპარავთ საქონელი ისტებსა და აქა-და-აქ ჰყავთ დამალული, მაშინათვე კაცს აფრენს ხოლმე ქისტ-ჩაფრები მალვით ქურდებთან და ატყობინებენ: ნაქურდალი დამალეთ, ბოქაული მოდის. მიდის ბოქაული ნაქაურდალის აღმოსაჩენად, მაგრამ ხელცარიელი უკანვე ბრუნდება. მართალია ზოგჯერ კიდეც პოულობს მოროტ-განმძრახველთ და მათ ნაქურდალსაც, მაგრამ ეს იშვიათ შემთხვევათ უნდა ჩაითვალოს.

არასოდესაც არ მოიშლიან ამნაირ ქცევას ქისტ-ჩაფრები, რადგან მათაც, კიდევ ვიმეორებ, წილი უდევთ ყოველ ნაქურდალ-ნაპარავში. ერთად-ერთი საშუალებაღა დარჩენილა ამგვარ მათ ყოფაქცევის მოსასპობად: ან სულ უნდა მოისპოს ქისტ-ჩაფრების ხსენება თიანეთის საერო დარაჯთან, ...ლებსაც ქართველები აბარიათ, ...ომლებშიაც ძმობა არავისთანა ...ქვთ და ვერც მოიპოვებენ, რადგან ქართველები მათ ძალუმადა ...ულთ. ფშავ-ხევსურეთის ბოქაულთან კიდევ უნდა ინიშნებოდნენ ...ართველი ჩაფრები.

დროა, დრო! ყურადღება მიექცეს, ვისკანაც ჯერ არს, ამ სამწუხარო მოვლენას.

ხაქე

* * **ს. ხორგი.** (სამეგრელო). ...ლის ცეცხლში დაწვა. შობის წინა ...ღეს, აქაური მცხოვრების ვ. ...ჭკირიას ცოლი ცეცხლში დაიწვა. საბრალო ქალი მარტოდ მარტო ყოფილა სახლში და ბუხრის პირას დამჯდარა ცეცხლის გასათბობათ. ქალს ცეცხლი ტანისამოსში მოსდებია და ყვირილი დაეწყო: „მომეშველეთ, დავიწვი ცეცხლშიო. ეს ამბავი გვიან გაიგეს და ...და როცა მივიდნენ კიდეც ენახათ მომაკვდავი. ქალი დიდის ტანჯვით მეორე დღეს გადაიცვალა..

ტელეფონი

## წმიდა და ნეტარი მოწამე ქრისტესი აბო *)

«აწ მოვედით, ქრისტეს მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ხსენებასა ახლისა ამის წმიდის მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩვენსა ქართლისასა მეოხ ჩვენდა ქრისტემან მოგვანიჭა და სიხარულითა მრავლითა განვახვნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩვენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღვაწებასა მისსა».

(ქება წმიდისა მოწამისა აბოსი).

აფხაზეთის მთავარი წმ. აბოს თხოვდა დარჩენილიყო მისს სამფლობელოში. „ქვეყანა იგი ქართლისა სარკინოზთა (არაბთა) უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზისა და არა დაგიტეონ შენ ქრისტიანობაჲ მათ შორის და მეშინის მე შენგან“, რომ ქრისტეს სარწმუნოებაზე ხელი არ აგაღებინონ,—ეუბნებოდა ამას აფხაზეთის მთავარი. მაგრამ წმ. აბო ეტყოდა მას: „არასადა უარ-ვჰყო მე სახელი ქრისტესი, თუნდ ბევრი ოქრო და ვერცხლი მომცენ, გინა თუ ტანჯვითა და ვნებითა განმიკითხონ მე ვერ განმაშორონ მე სიყვარულსა უფლისა ჩემისასა“. წმ. აბო ტფილისში სცხოვრობდა ნერსესთან ერთად. აქ იგი განცხადებულად ქრისტიანედ აღიარებდა თავის თავს. არაბებს ძლიერ სწყინდათ წმ. აბოს გაქრისტიანება; „რომელნიმე ჰგვედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვითა შეაჯტებდეს“. მთელი სამის წლის განმავლობაში წმინდა აბო ქრისტიანად აღიარებდა თავის თავს ქ. ტფილისსა და მისს ახლო მდებარე სოფლებში. ქართველები ხელს უწყობდნენ მას საზრდელითა და სამოსლითა. მათ ძლიერ უხაროდათ წმ. აბოს გაქრისტიანება: ისინი ამაში ხედავდნენ ქრისტიანობის ძლევა-მოსილებას, რასაც დაემორჩილა მაჰმადიანად მყოფი წმ. აბო. მათ სწამდათ, რომ ქრისტიანობა და სიმართლე სძლევდა მაჰმადიანობას და უსამართლობას. წმ. აბო არა თუ განამტკიცებდა ქართველებს ქრისტიანობრივს სარწმუნოებაში, არამედ ბევრ მაჰმადიანს მოაქცევ და ამავე სარწმუნოებაზე. ამის გამო მაჰმადიანებმა შეიპყრეს იგი და წარუდგინეს ტფილისის ემირს, მაგრამ იგი, დატყვევებული სტეფანოზის შუამდგომლობით განთავისუფლებულ იქმნა. მაჰმადიანებმა ხელ-მეორედ შეიპყრეს იგი და წარუდგინეს ახლად მოსულს ტფილისში ემირსა, რომელმაც უთხრა მას: „შენ ხარ ნათესავით და ტომით სარკინოზი და დაგიტევებიეს მამული სჯული და ქრისტიანებთან ერთად შეცდომილხარ, აწ განემზადე და იდოცე სჯულითა მითვე, რომლითაც განგზარდეს მშობელთა შენთა“. წმ. აბომ უარ-ჰყო ემირის წინადადება და გაბედულად უთხრა მას: „მე დაუტევე შორვილი იგი კაცთა ხელოვნებითა შეთხზული სჯული და შეუდეგ ჭეშმარიტსა ქრისტესა მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა... აწ ქრისტიანე ვარ თვინიერ ყოვლისა ცილობისა“. ემირმა აღუთქვა წმ. აბოს დიდძალი ოქრო-ვერცხლი, დიდება და პატივი, თუ ის უარჰყოფდა იესოს და მაჰმადს დაუბრუნდებოდა, მაგრამ მან ყოველივე უარ-ჰყო: „ოქრო და ვერცხლი შენი შენთანავე იყავ. წარსაწყმენდელად შენდა, მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ“. გაჯავრებულმა ემირმა უბრძანა ხელფეხ შეკრული რკინის ბორკილით წმ. აბო საპყრობილეში ჩაეგდოთ. წმ. აბო საპყრობილეში მადლობდა ღმერთსა. მისთვის საპყრობილე სატანჯველთა ადგილი კი არ იყო, არამედ ადგილი ლოცვისა, მარხვისა, სათნოებისა, სულიერის მყუდროებისა და სიხარულისა. მან გაჰყიდა რაც რამ ებადა და ზრდიდა მშიერ და ნაკლულევან ტყვეებსა საპყრობილეში, სადაც ის „მარხვითა და ლოცვითა და ფსალმუნებათა დღე და ღამე“ დროს ატარებდა. მან საპყრობილეში დაჰყო ცხრა დღე. მასთან შედიოდნენ მაჰმადიანები და ურჩევდნენ ზოგი გაწყრომით და ზოგი მოფერებით, დაეტოვებინა იესოს სჯული, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა მათს რჩევასა. იგრძნო რა წმ. აბომ აღსასრულის მოახლოება, გაჰყიდა თვისი ტანისამოსი, რათა უყიდონ მას სანთლად კეროვნები (კელაპტრები) და საკმეველი და გაჰგზავნა ტფილისის ყველა ეკკლესიებში ასანთებლად, საპყრობილითგანვე მან სთხოვა ტფილისის ყველა მღვდლებს, რათა მათ ილოცონ მისთვის. საპყრობილეში უკანასკნელი ღამე ლოცვაში გაატარა წმ. აბომ. მას ხელში ეპირა ორი დიდი სანთელი და მთელი ღამე დაუჯდომელად ფეხზე იდგა და ზეპირად დავითნს ჰკითხულობდა, სანამდის სანთლები არ დაიწვა გათენდა მეექვსე დღე იანვრისა, დღე უფლის განცხადებისა. დილით მან მოითხოვა წყალი, პირი დაიბანა და იცხო ზეთი თავსა თვისსა და სთქვა: „ეს საცხებელი დაფვლისა ჩემისა არს—ამიერითგან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწირობისა ჩემისა ზეთია... არამედ სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდე ქრისტე, რომელმან აღმავსე განუქარვებელითა მით სულნელებითა სარწმუნოებისა და სიყვარულისა შენისათა“. ამას შემდეგ წმ. აბომ მიიღო საიდუმლო ქრისტეს ხორცისა და სისხლისა და სასიკვდილოდ განემზადა... სწორედ ამ დროს მოვიდნენ ემირის მსახურნი და წაიყვანეს წმ. აბო, რომელიც გამოეთხოვა ტყვეებს და სთხოვა მათ: „ლოცვასა მომიხსენეთ, რამე თუ არღარა მიხილოთ მე საწუთროსა ამას სოფელსა“.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## ამორჩეული აზრები

—

კეთილი სიტყვები,—კეთილსავე მოქმედებას აღიარებს, არამც თუ მათ მხრივ, რომლებისკენაც მიმართულია, არამედ მათშიაც კი რომლებიც მითი სარგებლობენ.

—

როგორც ცარიელ ტომარას არ შეუძლიან ზეზე დგომა, აგრეთვე ვალებში ჩაფლულს კაცს არ შეუძლიან თავისი სიტყვის პატრონობა, ვალს ტყუილი კისერზე ჰკიდია. ვალის პატრონი უდ გილივე სიამოვნებას უნდა გრიდოს, რომ შეუმსუბუქდეს. ამიტომაც ყველა ჩვენგანი უნდა ვცდილობდეთ, რომ ვალი არ დავიდოთ.

—

სიღარიბე არ გვაძლევს ნებას ვისარგებლოთ აღმაანერის კეთილის თვისებით, იგი ანგრევს კაცის კეთილდღეობას. დამზოგველობა კი აჯილდოებს სიმშვიდით და აძლევს საშუალებას დაეხმაროს სხვასაც. დაეხმაროს სხვას, მაშინ როდესაც თვითონაც გაჭირვებაშია—შეუძლებელია. დამზოგავობა კარგი თვისებაა—თუ კაცს დასაზოგი აქვს რამე. კეთილი დასაწყისი—ნახევარ—საქმეა.

—

კეთილ მაგალითს დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგალითი საყველთაოენაა: იგი ესმის ყველა ხალხისთვის.

## სასარგებლო ცნობა

### ზნეობა და ჯანმრთელობა *)

იე. მეუღლეობისათვის. მიიყვანე შემწე შენი, დაემორჩილე ბრძანებასა ღთისასა და აზიარე ცოლი, და თავი შენი ჰყავ ერთგულ წევრად საზოგადოებისა. გარდა გამინჯე პირველად გონიერებით და ნუ აღასრულებ ფიქრსა შენსა მსწრაფლ, ვინაიდგან გამორჩევასა შენსა ზედა დამოკიდებულ არს მომავალი ბედნიერება შენი.

უკეთუ დედაკაცი, მოსწრაფე შენის თვალის მოტაცებისა, ჰკარგავს მრავალსა დროსა მორთვასა შინა, უკეთუ თვალნი მისნი ჰხედვენ კაცთა კადნიერებით და ურცხვად, მაშინ უკუნ აქციე ხედვა შენი მისგან, თუნდა შვენიერება მისი მსგავსდეს შვენიერებას ცისასა; ივლტოდე შეუდლებად მასთანა და ნუ იქმ, რათა სული შენი იყოს მსხვერპლად მისა.

არამედ ოდეს ჰპოვო გული ფრიად სატრფიალო, მყუდრო ქცევითა, ხმითა გონიერითა და სახითა მოსაწონი, მაშინ მიიყვანე დედაკაცი ერთი სახელად შენდა, რათა იყოს იგი ღირს მეუღლეობასა შენისა, შემწედ და მოსწრაფედ ერთგულობისა შენისა. შეიყვარე იგი, ვითარცა კურთხევა ზეციერი და ღირს ჰყავ იგი სიყვარულსა; კეთილითა ქცევითა იგი არს უფალი სახლისა და ამისთვის პატივსცემდე მას რათა სახლეულნიცა შენნი დაიცვენ მისდამი მორჩილებასა.

ნუ წინაღუდგები ნებასა მისსა უმიზეზოდ, ვინაიდგან იგი მოზიარე არს შენთანა მწუხარებისა და შექცევისა შენისა.

—

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 726.

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 725.

შეცოდება მისი განმართე მეუდროებათა და ნუ ითხოვ მისგან პატივცემას შენსა უთავაზიანობისა შენისათვის.

არწმუნე მას ყოველი საიდუმლო გულისა შენისა,ვინაითგან მისისა ერთგულ რჩევითა არა მოტყუვდები შენ.

იყავ სარწმუნო საწოლსა ქორწინებისასა, რამეთუ იგი არს დედა შვილთა შენთა.

ოდეს იყოს იგი უძლურ ანუ გნებულ სნეულებითა, მაშინ მხურვალებითა შენითა დაატკბე ჭირი მისი, და უმეტეს მწუხარისანითა და სიყვარულიანითა სახითა შენითა შეუმსუბუქე მას ტკივილი მისი, და გამოიმეტე მისთვის ათი გამოცდილი მკურნალი.

გასინჯე უსუსურებაცა ბუნებისა მისისა და ნუ იქმნები მისდამი უზომოდ ფიცხელი, არამედ მოიგონე შენიცა არ ასრულება საქმეთა შინა.

(შემდეგი იქნება)

## გასართობი

—

მართლ-მსაჯულება. მეფე კამბიზი მეტად მართლ-მსაჯული მმართველი იყო; მან შენიშნა, რომ ერთმა მსაჯულთაგანმა, რომელიც სხვებზე გაშორებით მეტად უყვარდა, ქრთამების აღებას ხელი მიჰყო; მაშინ უბრძანა და ცოცხალი გაატყავებინა, გააშრობინა მისი ტყავი და სავარძელს გადააკრა; რამოდენიმე ხნის შემდეგ მსაჯულობა დასჯილის შვილმა მიიღო; დაუდგა სავარძელი და უბრძანა: „აი ამ სავარძელზე მამაშენის ტყავია გადაკრული“.

—

ცოლის ერთგულება ქრმისადმი

ერთი მქადაგებელი ხალხს უხსნიდა და უნერგავდა გულში, რომ უნდა მოყვარულნი იყვნეთ: ძმობისა, ერთობისა, სიყვარულისა და დამნაშავეს შეცოდებანი უნდა მიუტეოთო. შემდეგ მან მიმართა ხალხს და ჩაეკითხა: აბა გულწრფელად მითხარით, ვინ არის თქვენგანი, რომ დამნაშავეს ცოდვაში მიუტევოსო?—იქვე მდგომი ქალი წადგა და უპასუხა: მამაო, მქადაგებელო, მე დიდის სიამოვნებით ვაპატიებ იმ კაცს, რომელიც ჩემს ქმარს მოჰკლავსო!“

## ყურმოკრული საუბარი

—

—.წინათ რა საქმეს ადექით? იცით მეოჯახობა და საქონლის მოშენება?

— რასაკვირველია, სუყველაფერი ვიცი! მე წინათ ღუდის ქარხანაში მოურავად ვიყავი, იქ მოვაშენე ღორები, მერე იცით რანაირი ღორები! მას აქეთ რაც მე სამსახურს თავი დავანებე და წამოვედი იქ ერთი რიგიანი ღორიც აღარ არის.

—

— თუ შენც დამეთანხმები, ლავრენტი მეტათ დარბაისელი კაცია.

— ჰო, შეხედულობით დიაღ დარბაისელია, მაგრამ თავი კი ფუტურო აქვს.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

14 იანვარი

**სოფია.** ის ხმები, ვითომც ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის დამოკიდებულება გამწვავებულიყოს მაკედონიის საქმის გამო, ბირჟაზედ გამოგონილად მიაჩნიათ. ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის ისევ საუკეთესო მეგობრული დამოკიდებულება არსებობს.

**ცეტინიე.** აქ მოსულ ცნობით, ძველის სერბიის ყველა ალბანელთა თემების წინამძღოლნი იპეკში არიან დაბარებულნი, მაგრამ რისთვის—არავინ იცის.

**პეკინი.** რუსეთის რაზმის ერთმა ნახევარმა პეკინი დასტოვა, ისე რომ ამ ჟამად რუსეთის რაზმი აღარ სჭარბობს სხვა რომელიმე სახელმწიფოს რაზმს.

**პარიზი.** „Soir“-ი გვარწმუნებს, რომ იმ შემთხვევის გამოძიებამ, რომელსაც ბორეპერი ასახელებდა, აღმოაჩინა, რომ სასამართლოს წევრნი ბარი და დიუმა დისციპლინალურის სასჯელის ღირსნი არიან, ლევი და მონა—ოფიციალურის საყვედურისა. მინისტრთა საბჭო ხვალ განიხილავს ზოგიერთ დეპუტატის წინადადებას იმის შესახებ, რომ საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას ჩამოერთვას ეს საქმეო.

**ლონდონი.** Morning Post“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუ-იორკადგან: გარეშე საქმეთა სამინისტროს გერმანიის მთავრობამ შეატყობინა, რომ აზრად არა გვაქვს გავამრავლოთ ჯარი სამოას კუნძულებზედაო.

**კონსტანტინეპოლი.** როგორც კრიტიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, საერო კრების არჩევნები მეფის შვილმა დანიშნა 5 თებერვლისათვის.

რეტიმნოში მოსვლის შემდეგ მეფის შვილმა რუსეთის იმპერატორს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც მადლობას უცხადებს რუსეთის ჯარის მიერ ოლქში, წესიერების დაცვისა და მეფის შვილის მიღებისათვის.

**გელსინგფორსი.** დღეს თვითეულმა წოდებამ თავიანთ შორის აარჩია ამომრჩეველნი, რომელთაც შემდეგ უნდა აარჩიონ კომისიის წევრები,—4 კაცი თითო წოდებიდგან. თავად-აზნაურობამ 160-დგან აარჩია 23 კაცი, სამღვდელოებამ 50-დგან 13 კაცი, მოქალაქეთ—60-დგან 18, გლეხობამ—60-დგან—17.

15 იანვარი

**ოდესსა.** აქ მოვიდნენ იმ კომისიის წევრნი, რომელთაც სათადარიგო ჯარის კაცნი უნდა დაიქირავონ ჩინეთის გასაყვან რკინის გზის დასაცველად: რამდენიმე ათასი კაცია საჭირო. მსურველი ბევრია. ჯამაგირი $20^1/_2$ მან., ტანისამოსი და საჭმელ-სასმელიც სახელმწიფო.

აქაურ ამერიკის საელჩოს ცნობით, შეერთებული შტატები სამხრეთ რუსეთსა და ბოლტიის იქით მხარეს დიდს სავაჭრო სააგენტოებს, რომლებშიაც ამერიკის საქონელიც იქნება გამოფენილი. ასეთი სააგენტო ოდესსაშიაც იქმნება გამართული.

**ვაშინგტონი.** მანილიდგან ... წყებიან, რომ უკვე გამოაცხადე... ფილიპპეს კუნძულები რესპუბ... კადაო და რომ ეს ამბავი დი... სახელმწიფოთ უკვე ნაუწ... აქვთო.

**ვენა.** კეკსგოლმის რაზმის ... პუტაციამ ვვირგვინი უძღვნა ... რატრიცა ელისაბედის სამარეს.

**მადრიდი.** კორეა მინისტ... ბჭობას არ დაესწრო. მისი იქ... ყოფნა იმ განაჩენს მიეწერ... რომელიც უზენაესმა სასამა... ლომ დაადგინა ორის გენერა... შესახებ: ერთი ფაუდენესია, ... მელმაც მანილია დაუთმო მტ... და გუშინდელ დღიდგან საპატ... როში დაპატიმრებული, ხოლ... მეორე ტორალე, რომელმაც სან... იაგო დუთმო მტერს და ამ ჟამ... იქ არ იმყოფება.


# განცხადებანი

## დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატი...

რომელიც ორ ნაწილად არის შემდგარი

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო ს... ლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლმადიდებლო სემ... რიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყ... შიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალ... —თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.— თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზ...

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი ... აღწერანი მარტივნი და მხატვრობითნი.—მგზავრის წერილები.—მო... რობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობით... თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრ-მეტყველებ საპოლიტი... სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი—ესკიზი, ამბავი ... მოთხრობა.—იდილიები, იგავი-არაკნი და ბალადები.—სალირი... პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დ... რილნი საერო კილოზე, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ... ტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულ... სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და კრებული ნი... შებისა (ქრის-ტომატია) ორ-ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანი... და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^1/_2$ თაბახს და ჰღირს ერ... **მანათი.**

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალ... ნაკლებ არ იყიდის, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

---

იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი.

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ. ფასი სამი შაური. (10—